№369 2013 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის „დაკანონებული გაზომვის საშუალებებისადმი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლისმე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი „დაკანონებული გაზომვის საშუალებებისადმი მოთხოვნები“.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 11 ოქტომბრის N 1-1/1109 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტი „სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული (დაკანონებული) გაზომვის საშუალებებისადმი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2013 წლის 24 დეკემბრის
N 369 დადგენილებით

ტექნიკური რეგლამენტი
„დაკანონებული გაზომვის საშუალებებისადმი მოთხოვნები“

მუხლი 1. დაკანონებული გაზომვის საშუალების უსაფრთხოების მახასიათებლები

1.პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 79-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაკანონებული გაზომვის საშუალების უსაფრთხოების მახასიათებლებს წარმოადგენს:

ა) დაკანონებული გაზომვის საშუალების ტიპის დამტკიცების, ან აღიარების არსებობა გაზომვის საშუალების ტიპების სახელმწიფო რეესტრში;

ბ) დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმება;

გ) დაკანონებული გაზომვის საშუალების ექსპლუატაციის დადგენილი პირობების დაცვა;

დ) დაკანონებული გაზომვის საშუალების გაზომვის შედეგების მიკვლევადობის უზრუნველყოფა.

2.დაკანონებული გაზომვის საშუალების უსაფრთხოების მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დაკანონებული გაზომვის საშუალების ტიპების რეესტრში რეგისტრირებულ მახასიათებლებს.

მუხლი 2. დაკანონებული გაზომვის საშუალებების უსაფრთხოების მახასიათებლების დაცვა

გაზომვის საშუალებების მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს დაკანონებული გაზომვის საშუალებების უსაფრთხოების მახასიათებლების დაცვა.